# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 6 ივლისი 1900 წ. № 1172

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## კბილის საექიმო კაბინეტი
## ნ. თ. ხორავასი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათ. 8 საათამდე. რაზიეზჟაია, 17, ვორონცოვის ძეგლთან. ნ. 10—2

## წარსული წლების ჟურნალი
## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## ახალი ამბავი

—

✦ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ღვინის მოსავლის პირი ცხადი არ არის, კახეთს ჩვეულებრივ შესევიან **თბილისელი ჩარჩები** და წვრილ ვენახების პატრონ გლეხებს წლევანდელ მოსავლის ფასებში ურიგდებიან. რადგანაც კახეთის ბევრ მემამულეს შარშანდელი ღვინოც ბევრი დარჩა სარდაფებში, ჩარჩებმა ერთობ დასწიეს ღვინის ფასი და იძლევიან ახალ ღვინოში ათ—თხუთმეტ შაურს ვედროზედ. ძველი ღვინოების ფასი კი „ვედროზე მანეთიდან“ ორ მანეთამდე ადის. თუ სეტყვა არ მოვიდა, იმედი აქვთ, რომ წელს ღვინის კარგი მოსავალი იქნება.

✦ **ახალი სააფთიაქო წესდება,** რომელიც შეიმუშავა საექიმო დეპარტამენტმა, გადაეცა საექიმო რჩევას, რომელიც განიხილავს მას ამ წლის შემოდგომაზე, ახალი პროექტს მიზნად აქვს შეამსუბუქოს სააფთიაქო პრივილეგიათა სისტემა და გაადვილოს, რამდენადაც შესაძლებელია, ახალი აფთიაქების გახსნა. ამ მიზნის მისაღწევად განზრახულია აფთიაქების გახსნის საქმეში უპირატესობა მიეცეს საერობო და სამოქალაქო დაწესებულებებს და საქველმოქმედო საზოგადოებებს. ამასთანავე პროექტის მიზანია, კერძო პირები არ შეიქმნენ აფთიაქის პატრონები. ამ მიზნის მისაღწევად პროექტში შეტანილია მუხლი, რომლის ძალით აფთიაქზე მემკვიდრეობის უფლება ეძლევათ მხოლოდ ქვრივებს, სანამ არ გათხოვდებიან, და შვილებს, სანამ ესენი სრული წლოვანი არ შეიქნებიან. ხმა, ვითომც ხაზინას სურდეს აფთიაქების გამოსყიდვა, მოკლებულია ყოველს საფუძველს.

✦ თანახმად „დამხმარებელ საზოგადოებათა“ ნორმალური წესდებისა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 27 ნოემბერს 1897 წელს, ქუთაისის გუბერნიის მმართველმა ნება დართო დაარსდეს „ხონის მეორე ხარისხის საქალებო სასწავლებლის მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება.“

✦ ერევნის რკინის გზის მუშაობა ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. აქამომდე მუშაობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მუშებს ვერ შოულობდნენ და თან წვიმებიც ხშირი იყო. ამ გზაზე ერთობ ხშირია შხამიანი გველები; ამ დღეებში ერევნის ახლო **გველის ნაკბენისაგან მოკვდა** ორი მუშა—ბერძენი.

✦ **ქალაქის ელექტრონით განათების** საქმის მთელი მასალა სრულებით მზად არის და ქალაქის გამგეობა დღეს გადასცემს მას განსახილველად და დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს.

✦ ბამბაკის ხეობაში **ჩამოწოლილა დიდი ზვავი** (500 კუბიკური საჟენი), რის გამოც ეს სამი დღეა ყარსის რკინის გზაზე მატარებლების ჩვეულებრივი მიმოსვლა შეწყვეტილია. ფიქრობენ, რომ 10 ივლისისათვის გზა სრულიად თავისუფალი იქნება.

✦ გუშინ, 4 ივლისს, ტფილისის გუბერნიის ბეითალს ამბავი მოუვიდა, რომ ლორის საბოქაულოში შადინოვს ჭირით ავად გაუხდა სამი ძროხა და ერთი მათგანი მოკლულ იქმნა ადგილობრივ ბეითალის მიერ. შადინოვს უთქვამს, რომ ტფილისის მაზრაში საქონელი ვიყიდე და და იმ საქონელს შემოჰყოლია ჭირიო. („ივ.“).

✦ გუშინ, 4 ივლისს, ქალაქის რკინის გზის დირექტორმა ბ-ნმა რობიმ წარუდგინა ქალაქის გამგეობას გეგმა ორ-კეცის ლიანდაგისა სასახლის ქუჩისათვის. ამასთანავე იგი აცხადებს, რომ თუ ელექტრონის რკინის გზა შემოვიღეთ, მაშინ რაკი ერთი ლიანდაგია ამ ქუჩაზედ შეუძლებელი იქმნება ქალაქისათვის ისე მოკიწყვლა ქუჩისა, როგორც განზრახული აქვსო. ბ-ნი რობი სთხოვს გამგეობას ნება დამრთეთ ეხლავე გავმართო მეორე ლიანდაგი სასახლის ქუჩაზედ, უიმისოდ გოლოვინის პროსპეტკზედ შეუძლებელია 8 ვაგონზედ მეტი ვამუშაოთ და ეს რიცხვი კი არ იქნება საკმარისი მეტადრე მაშინ, როდესაც ვარდის უბნის შტოზედ დაიწყება ვაგონების მოძრაობა. დასასრულ, როცა ორი ლიანდაგი იქნება გაწყობილი, შეიძლება ვერის ხიდის შტოდან ვაგონებმა პირდაპირ ერევნის მოედნამდე იარონო. ბ-ნი რობი სთხოვს გამგეობას, რომ საცდელად ერთის თვით გავმართავ ამ მეორე ლიანდაგს და თუ მოუხერხებელი აღმოჩნდა, გამგეობის მოთხოვნილებისათანავე დაუყოვნებლივ ავყრი და ისევ ერთს ლიანდაგზედ ვატარებ ვაგონებსაო. ქალაქის უფროსი ინჟინერი სრულიად დასთანხმებია ბ-ნ რობის აზრს და შესაძლებლად მიუჩნევია საცდელად მეორე ლიანდაგის გაყვანა სასახლის ქუჩაზედ. („ივერ.“).

✦ თელავიდან გვწერენ: „12 ივნისს ქალაქ თელავში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა, რომელიც 28 ივნისამდე ვერავინ შეიტყო. საქმე ასე მოხდა: 11 ივნისს, ძმებს ჰკვიანოვებს, რომელთაც შუა ბაზარში ბაყლის დუქანი აქვთ, მოჰსვლიათ ლაპარაკი, რომელიც ჩხუბად გადაქცეულა და საქმე იქამდის მისულა, რომ ძმებს ერთმანერთისათვის კარგა უცემნიათ, უფრო კი მ. ჰკვიანოვს, რომელსაც ჩხუბის დროს გირები უხმარია და ამით კარგა უცემნია თავ-პირში უმცროს ძმისთვის. ამის შემდეგ ამ მ. ჰკვიანოვს იმ ღამეს შინა სძინებია, მეორე დღეს დედისთვის მიუცია ქამარი, საათი, ქისა და წასულა. იმავე დღესვე ერთი კაცის ხელით გასაღები გამოუგზავნია სახლში და შემოუთვლია „ველარა მნახავთო“. ამის შემდეგ აღარ დაბრუნებულა. ჯერ შინაურებს ეგონათ, რომ სოფ ლში წავიდოდა სადმეო, მაგრამ მეორე დღესაც რომ არ დაბრუნდა, მაშინ კი დაუწყეს ძებნა და გამოაცხადეს კიდეც. დაიკარგა ცოცხალი კაცი, რომელიც 12 ივნისის შემდეგ ვერავინა ნახა; ძებნა მაინც არ შეუწყვეტიათ, კაცებიც დაიქირავეს საძებნელად, მაგრამ ყველაფერი ამაო შეიქმნა; 28 ივნისს თელავის სახელმწიფო ტყის მცველი მიდიოდა ტყის გასასინჯად; ტყის საყარაულოს რომ გასცდა, 1/2 ვერსის სიშორეზე, იგრძნო რაღაც მყრალი, ადამიანისთვის აუტანელი სუნი; ის მაშინვე გაეშურა იქითკენ, საიდანაც სუნი მოდიოდა და ნახა შემდეგი: ერთ პატარა ღელეში ეგდო ახალუხით ადამიანის გახრწნილი და ჩარჩეული გვამი, რომელიც ეკლებში იყო შეჩხირული და რომელსაც ქვეწარმავალნი დაჰხვეოდნენ და ნადირისაგან იყო დაფლერთილი; იქვე ეგდო დაკეცილი ჩოხა. ამის მოშორებით, ასე 10—15 ნაბიჯზე, ეგდო თავი, რომელიც ნადირებს მოეშორებინათ ტანიდან.

მისი ტანის ასოები აქეთ-იქით ეყარა დაგლეჯილ-დაფლეთილი ნადირისაგან. ხელები მთლად მოჭმული ჰქონდა. როგორც ეტყობა, უცბად არ მომკვდარა, ჯერ უბღორტნია, რადგანაც ერთ ადგილას ნაბღორტი ემჩნევა მიწას, მერე გადავარდნილა პატარა ფერდობიდან ღელეში და სისხლისაგან დაცლილა; როგორცა სჩანს, ღელეში ნადირს შეუჯრევია, მაგრამ ვეღარ წაუღია. ტყის მცველი, შეშინებული ამ უცაბედი შემთხვევით, მაშინვე გამოქცეულა თავის უფროსთან, რომელსაც მაშინვე შეუტყობინებია ბოქაულისათვის ეს ამბავი. იმ წამსვე უფროსი ტყის მცველი, ბოქაული რამდენიმე კაცით და დაკარგულის ნათესავები წავიდნენ იმ ადგილას, სადაც მკვლელობა მომხდარა. ნახეს თუ არა გვამი, მაშინვე იცნეს ტანისამოსზე და თავზე, რომელიც ცოტად თუ ბევრად უვნებლად გადარჩენილიყო. ეს იყო 12 ივნისს დაკარგული მიხა ჰქვიანოვი.

მიხა ჰქვიანოვი შუა ხნის კაცი იყო უცოლ-შვილო“.

✦ სოფ. კარადაუალიდან (თელავის მაზრა) გვწერენ; „არ იქნა და არ დაივიწყეს ქისტებმა უწინდელი ზნე-ჩვეულება; ისევ ისე აქვთ მათ ძვალსა და რბილში გამჯდარი ძველი ჩვეულებანი და უფრო კი ქალის მოტაცება: მოეწონათ ქალი სადმე და თუ არ მისცეს, უეჭველად მოიტაცებენ. 30 ივნისს, ღამე, ამ სოფლის კარგა შეძლებულ თათარს მოლლა მუსას **მოსტაცა დისწული** ერთმა პანკისელმა ქისტმა, რომელსაც რამდენიმე ქისტი ჰყოლოდა ამხანაგად. მეორე დღეს მოლლა მუსამ გამოუცხადა ადგილობრივ ადმინისტრაციას ეს ამბავი, რომელმაც სასტიკი განკარგულება მოახდინა. იმ ღამესვე ქალის მომტაც ქისტებს გამოსდგომოდნენ ქალის ნათესავები, მაგრამ ვერ შეეპყრათ იგინი“.

✦ უნტერ-ოფიცრის ქალმა ანასტასია ივანოვისამ, რომელიც ცხოვრობდა ტფილისის მოქალაქე დავით ხალათოვთან, როგორც კი გაიგო, რომ მისი საყვარელი ცოლს ირთავს, რევოლვერი ესროლა ხალათოვს და როცა დაინახა, რომ იგი სისხლმოსვრილი ძირს დაეცა, იქვე საფეთქელში რევოლვერი დაიცა და მაშინვე სული დალია. ხალათოვი მძიმედ არის დაჭრილი და ესლა მიხაილოვის საავადმყოფოში იმყოფება.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**4 ივლისი**

**პრეტორია.** 2 ივნისს რობერტსმა გაგზავნა ერთი რაზმი ბურების განსადევნად იმ გორაკებიდან, რომელნიც ქალაქის ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობენ. ბურებმა უომრად დაანებეს თავი თავიანთ პოზიციებს.

**ბრიუსელი.** შანხაიში მყოფი ბელგიის წარმომადგენელი იტყობინება 3 ივნისიდან, რომ შანხაის ტაოტაის არ მოსვლია ამბავი შესახებ უცხოელების საერთო გაჟლეტისა პეკინში.

**ლოდზი.** ფრეიდენბერგის დამწვარი ფაბრიკა დაზღვეულია მოსკოვის საზოგადოებაში. ზარალი 260,000 მანეთია.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ, თუმცა მთავრობას არავითარი საბუთიანი ცნობა არ მოსვლია შესახებ პეკინში მომხდარ საშინელ კატასტროფისა, მაინც არ უნდა ვიქონიოთ დიდი იმედებიო. შემდეგ ბროდრიკი იტყობინება, რომ სეიმურმა ტიანცზინში ბატარეისათვის საკმარისი რიცხვი ჯარის-კაცებისა დასტოვა და თვითონ-კი ეხლა თავის გემზედ იმყოფებაო. ბროდრიკის სიტყვით, 27 ივნისისათვის ტაკუსთან და ტიანცზინში უნდა იყოს: რუსები—175 ოფიცერი და 2,400 ჯარის კაცი, ფრანგები—120 ოფიცერი დ 2400 ჯარის კაცი, გერმანელები—36 ოფიცერი და 2400 ჯარის კაცი, ამერიკელები—10 ოფიცერი და 1300 ჯარის კაცი. გარდა ამისა აქვე არიან ავსტრიელებისა და იტალიელების პატარა რაზმები. ასე რომ სულ აქ ევროპიელების ჯარი შესდგება—597 აფიცრებისა და 21,000 ჯარის კაცისაგან; შესამჩნევი რიცხვი უცხოელების ჯარებისა თან და თან მიდის ტაკუში, თუმცა ნავთ-სადგურების მოუწყობლობის გამო, ჯარების ნაპირზე გადასხმა ძნელია.

**ვაშინგტონი.** ადმირალი რემეი ჩიფუდან იტყობინება 3 ივლისს, რომ, როგორც აქ მოსულ ცნობებიდან სჩანს, მოკავშირეთა ჯარებმა იერიში მიიტანეს 30 ივნისს ტიანცზინის იმ ნაწილზე, რომელნიც ჩინელების ხელშია. ჯარის მარჯვენა მხარე ეჭირათ რუსებს და ამერიკელების ქვეითა ჯარის მე-9 პოლკს. მარცხენა მხარე ეჭირათ ზღვაოსნებს.

**ლონდონი.** შანხაიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა ჯარებმა იერიში მიიტანეს 30 ივნისს ჩინელებზე ტიანცზინში.

**შანხაი.** 1-ლ ივლისს ევროპიელებმა ხელმეორედ მიიტანეს იერიში ტიანცზინზე; გაარღვიეს კედელი და აიღეს ყველა სიმაგრეები. ჩინელები სრულებით დამარცხდნენ; ევროპიელებმა ხელში ჩაიგდეს ჩინელების ნაწილი ქალაქი და სიმაგრეები.

დანიის მისსიონერთა საზოგადოებამ დეპეშით (4 ივლისიდან) ცნობა მიიღო, რომ ფუნკუანდუკში, ლიოდუნის კუნძულზე, დაანგრიეს მისსიონერთა სადგური. მისიონერები გადარჩნენ და ეხლა ჩემულპოში იმყოფებიან.

**შანხაი.** ფიქრობენ, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია, რადგანაც, როგორც ჩინეთის ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, „მოკრივენი“ სამხრეთისაკენ გაემართნენ. ამბობენ, რომ ხუთი პოლკის მოძრაობის მიზანი ქ. ჩინხაუპოა, რომელიც დიდ არხზედ მდებარეობს. გარდა ამისა ხმა დადის, რომ კიუნჩაუნში სასტიკი ბრძოლა იყოო. „მოკრივეებმა“ უცხოელები შუაში მოამწყვდიეს. რუსებმა ქუჩებზე ბარრიკადები გააკეთეს. რუსეთის ბანკის მოხელეებმა წაიღეს ფული და ფასიანი ქაღალდები პორტ-არტურში.

**პეტერბურგი.** 4 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ჩამობრძანდა სპარსეთის შაჰი ამალით. სადგურზე მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, დიდი მთავრები და ხელმწიფის ამალა. ვაგონიდან გამოსვლისას შაჰს მიესალმა ხელმ-

## სამეცნიერო ქრონიკა

ახალი საშუალებები ჭლექის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელ დროს ჭლექზე იმ აზრისანი არიან, რომ ეს საშინელი სენი უიმედო ავადმყოფობას არ წარმოადგენს და რომ შესაძლებელია მასთან ბრძოლა. თუ ავადმყოფობას თავის ნებას მიუშვებთ, მას წინააღმდეგობას არ გაუწევთ, ეს ავადმყოფობა თითქმის ყოველთვის წუთისოფელს ასალმებს ადამიანს. მაგრამ თუ კი მას ენერგიულად შევებრძოლებით, მაშინ აი რა შედეგი მოსდევს ხოლმე ამ ბრძოლას: 100 ავადმყოფზე 20 მოკვდება, 60 ისე გამობრუნდება, რომ შეუძლიანთ დაუბრუნდნენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმეებს, და დანარჩენი 20 კი სრულებით საღები ხდებიან, საშინელი სენის ნიშანიც კი არ ატყვიათ.

ჭლექის წინააღმდეგ აფთექის წამლებით როდი მოქმედობენ. ამ სენის მთელი წამლობა მდგომარეობს ცხოვრების განსაკუთრებულ ჰიგიენურ წესსზე მოწყობაში. ავადმყოფი უკეთ ხდება, თუ მის ცხოვრების მოწყობილებაში სამი პირობაა დაცული: წმინდა და სუფთა ჰაერი, ნოყიერი საჭმელი ბლომად და სრული მოსვენება როგორც სხეულით, ისე სულითაც. ამ პირობების შესრულება ადვილია შეძლებული ავადმყოფთათვის და ამიტომაც შეძლებულებს შეუძლიანთ ჭლექისაგან თავის განთავისუფლება. სულ სხვაა ღარიბი ავადმყოფის მდგომარეობა.

დიდი ქალაქების ცხოვრებას ვინც დაჰკვირვებია, მისთვის ცხადია, რომ ჭლექით ავადმყოფი ღარიბი მუშა სიკვდილს ვერ გადურჩება. წარმოიდგინოთ, რომ ავადმყოფობის დაწყებასათანავე მიჰმართა ღარიბმა ექიმს: რაც უნდა გულკეთილი და კარგი ექიმი იყოს, მას არა შეუძლიან-რა ამ შემთხვევაში: აფთექის წამლები გამოუსადეგნი არიან; წმინდა ჰაერის, ნოყიერი საჭმელის და დასვენების მიცემა კი მას არ შეუძლიან, და თვითონ ავადმყოფი კი აბა სად იშოვის ამაებს? ჩვეულებრივ ამგვარი ავადმყოფი მუშაობს, სანამ ლოგინად არ ჩავარდება; მაშინ კი საავადმყოფოში წაიყვანენ. საავადმყოფოში კი არც წმინდა ჰაერია, არც მოსვენება და არც ისეთი საჭმელი, როგორც ჭლექიანისათვის არის საჭირო. ამ გვარად ჭლექიანი ღარიბი საავადმყოფოში სასწაულით თუ გადარჩება სიკვდილს. ღარიბისათვის ჭლექის აღმოჩენა სიკვდილის გამოცხადებაა.

ჭლექიანი ღარიბების საშინელმა მდგომარეობამ მიიქცია გულმოწყალე ექიმების ყურადღება ამ უკანასკნელ დროს. ამ საქმის ინიციატორობა ეკუთვნის ცნობილ ბერლინის პროფესორს ლეიდენს. ბევრი შრომა და ცდა დასჭირდა სახელოვან პროფესსორს, სანამ იგი მოახერხებდა ფულების მოგროვებას და ამ ფულებით ღარიბებისათვის სანატორიების დაარსებას.

ეს სანატორიები თანდათან ფეხს იკიდებენ გერმანიაში, შვეიცარიაში და ბელგიაში. გერმანიაში ეხლა 20-მდე სანატორიაა, ამდენივე ეხლა შენდება; გერმანელებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მოჰფინონ მთელ გერმანიას ამგვარი სანატორიები.

სანატორიების შენობები ერთგვარი ტიპისა არის: ვრცელი, ლამაზი სახლი, რომლის ფასადი სამხრეთისაკენ არის. გვერდებზე მიშენებულია ოთახები, სადაც ავადმყოფებია მოთავსებული, შენობის უმთავრეს ნაწილში მოთავსებულია—აფთეკა, ლაბორატორია, მისაღები ოთახები, გიმნასტიური ზა-

წიფე იმპერატორი; თარჯიმანად სპარსეთის ელჩი ეყო. ხელმწიფემ წარუდგინა შაჰს დიდი მთავრები, შაჰმა ხელმწიფეს დიდი ვეზირი. შემდეგ ხელმწიფემ და შაჰმა შემოუარეს საპატიო ყარაულს. ორკესტრი სპარსეთის მარშს უკრავდა. სადგურიდან ხელმწიფე იმპერატორი და შაჰი ახდილი ეტლით წაბრძანდნენ საზამთრო სასახლეში, სადაც შაჰის შეხვდა დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული.

**პეტერბურგის ბირჟა 4 ივლისს**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 97¾ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 308 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 257½ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 200½ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | 90¾ | — |
| ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . . | — | — | — |
| ქუთ. სადგ. - მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | 98 | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 88 | — |

# ვამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ხორცი სალორჯეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს აის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფქვილისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯგ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » | |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » | |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » | |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თითო ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | გოგზალზე | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საგ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | 1 1—5 | — | |
| სიმინდი . . . . | 1 | — 80 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 50 | — | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 80 | — | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — 10 | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასათუროვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, გლისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ზარონსკ ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

ლა, საბანებელი აუზები და სხვ. სანატორია ყოველთვის აშენებულია ტყესთან, ქალაქებისა და სოფლების მოშორებით. ავადმყოფები ერთად როდი არიან თავმოყრილნი ოთახებში. დიდი-დიდი თუ ერთ ოთახში 2 ან 3 ავადმყოფია; ოთახების მოწყობილობა უბრალოა, მაგრამ ლამაზი და სასიამოვნო. მაგრამ ამ ოთახებში ავადმყოფების ადგომისათანავე დილას ავადმყოფები იკრიბებიან ზალაში, სადაც საუზმობენ. საუზმის შემდეგ მათ ჰგზავნიან სასეირნოდ გაშლილ ჰაერზე. უფრო სუსტები უკედლო ფარდულებში რჩებიან. თითქმის მთელი დღე ავადმყოფები გარედ არიან და სუნთქავენ წმინდა ჰაერს, რომელიც შეადგენს ჭლექის უმთავრეს წამალს. სასეირნო ადგილზე გამართულია ფანჩატურები, სადაც ავადმყოფებს შეუძლიანთ კითხვა, მასლაათი, წამოწოლა და თავის შექცევა. ცუდი ამინდის დროს მათ თბილად აცმევენ, მაგრამ რაც უნდა იყოს, ისინი უთუოდ მთელი დღე წმინდა ჰაერზე უნდა დარჩნენ.

სასადილო ოთახები დიდებია და სინათლით სავსენი არიან. ყველა ღონისძიებაა მიღებული, რომ ავადმყოფი ჭამის დროს კარგ გუნებაზე იყოს. სჭამენ ექვსჯერ დღეში. ჭამის შემდეგ უთუოდ პირი უნდა გამოირეცხონ და კბილები კარგად გაიწმინდონ.

გასართობიც არის სანატორიებში. ყოველ სანატორიაში არის ვრცელი სალონი ბიბლიოთეკით, ბილიარდით, პიანინოთი და სხვა თავშესაქცევ სათამაშოებით, ხშირად იმართება ლექციები, კონცერტები და წარმოდგენები.

(დასასრული იქნება)


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, 1900 წ. 10 ივლისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაობის მილის გასაკეთებლად აწ არსებულისაგან ოლღის ქუჩაზე სმეტცოვის ქუჩით სანგალდიანცის სახლამდე.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობანი გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე,-კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (ნ. 3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის ანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 20 ივლისს 1900 წელს ნაცვლად არ-მომხდარ ვაჭრობისა, დანიშნულია ახალი ვაჭრობა მიწის იჯარით გაცემაზე. მიწა იმყოფება პოლიციის მე-7 ნაწილში, ქ. ტფილისში, ავლაბარში, სივრცით 23 დესიატინაა და შეიძლება ვაჯის დაწვა.

ვისაც ჰსურს ნახოს ვაჭრობის პირობები, შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე დილის 8 საათიდან 1 საათამდე. (ნ 3—1)

**სემინარიელი**

ამზადებს შეგირდებს სემინარიისთვის, სასულიერო, სამოქალაქო, სატეხნიკო და სხვა სასწავლებლებისთვის.

2 Кобійскій тупикъ (около Пхнетской ул.), д. № 44.

5—4

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა III მორიგი კრების გასარჩევ საქმეთა

# პროგრამა.

**კრება დანიშნულია ამა 1900 წლის 26 ივლისს, ქუთაისში, კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, სტატსკი სოვეტნიკის მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით.**

1. არჩევა კრების მდივნისა.

2. განხილვა ანგარიშებისა: კრების რჩევისა, ვაგონთა დამნიშვნელის კომიტეტისა და ფულის შემოსავალ-გასავლის შემამოწმებელ სარევიზიო კომისიისა.

3. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

4. ქუთაისის გუბერნიის გამგეობის მიერ ჭიათურის ქსენონის გადაცემა შავი-ქვის მრეწველთა კრებისათვის და მადნის მუშათათვის მუდმივის საავადმყოფოს გამართვა.

5. ადგილების შეძენა კრების საჭიროებისათვის და კრებისთვის საჭირო შენობების აგება.

6. შორაპნის შავი-ქვის მადნებზე მეთვალყურე მთავრობის მიერ განწესებულ მტეიგერთათვის დანიშვნა დამატებითის ჯამაგირისა მადნებში სამსახურისთვის თვითეულს ხუთი წელიწადისთვის 100 მან.

7. რა წესი და რიგი უნდა იქმნას შემოღებული შავი-ქვის ხარისხ-ხარისხად დაყოფისა, რომ შავი-ქვის გასაღება რიგიანად სწარმოებდეს.

8. ტეხნიკურის კომიტეტის დაწესება შავი-ქვის მადნების დასაცავად

9. გაყვანა გზა-ტკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკური მოწყობილებისა შავი-ქვის საზიდავად მადნებიდან.

10. ჭიათურის პოსადად გადაკეთება და მარტივის საზოგადოებრივის თვით-მმართველობის შემოღება ჭიათურაში.

11. მომრიგებელი სასამართლოს დაწესება ჭიათურაში.

12. სტატისტიკური ცნობანი შავი-ქვის მადნის ამოღებისა და გაზიდვის შესახებ.

13. შტეიგერთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია.

14. სამრეწველო პოლიციის რეორგანიზაცია.

15. საპენსიო კასსის ანუ მუშათა დამზღვევი საზოგადოების დაწესება და საერთოდ შავი-ქვის მადნებში მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომათა მიღება.

16. სამთო სკოლებში სტიპენდიების დანიშვნა პირველის კრების დადგენილების თანახმად.

17. $^3/_4$ კაპეიკის გადასახადის დადგენა $^1/_2$ მაგიერ და იმ გადასახადის გავრცელება იმ ქვაზედაც, რომელსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებიდან ეზიდებიან, ხოლო რომელიც ამ სადგურებზე მოაქვთ ჭიათურის რკინის გზით კი არა, არამედ ურმებით და ცხენებით.

18. შავი-ქვის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე—ან რკინის გზის მხრივ, ანა და ფოთის ნავთ-სადგურის მხრივ.

19. შავი-ქვის გამგზავნელებს როგორ დაენიშნოთ პლატფორმები და სასურველია თუ არა ამ საგანზე ეხლანდელი წეს-რიგი დარჩეს ძალაში; აგრეთვე საფუძველი და წეს-რიგი იმისა, თუ შავი-ქვის მრეწველებს როგორ დაენიშნოთ მადნის გადასატანად დანიშნული ვაგონები.

20. მოსამსახურე პირთა არჩევანი:

ა) რჩევის თავმჯდომარისა. და ბ) რჩევის წევრებისა.

გ) შავი-ქვის მრეწველთა წარმომადგენლისა სამადნო საქმეთა საკრებულოში.

დ) ვაგონთა და საწყობთა დამნიშვნელის კომიტეტის წევრთა და მათი კანდიდატებისა.

ე) შავი-ქვის მადნების მეთვალყურე ტეხნიკურის კომიტეტის წევრებისა და მათი კანდიდატებისა, თუ ვინიცობაა ამისთანა კომიტეტის დაარსება კრებამ საჭიროდ დაინახა. ნ. 3—2


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ზნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პუკუდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| იგდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. ზ. გუნია.